MES 8 21 0001116821

20/10/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 05.10.2021
სხდომის დაწყების დრო: 14:05 სთ
სხდომის დასრულების დრო: 16:30სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათიაზედგინიძე-ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათიაზედგინიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **ანა ფირცხალაშვილი -** შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ვიცე-რექტორი;
5. **გაიანე სიმონია -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
6. **ელენე ჟურავლოვა -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

7. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
8. **აწზორ ბერიძე** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
9. **გაიოზ ფარცხალაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
11. **გიორგი ღაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
12. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
13. **დიანა მჭედლიშვილი** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
14. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
15. **თამარ ჩხეიძე** - სსიპ - თბილისის ივანე სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
16. **თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
17. **მაკაკა ჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	თამარ აფრასიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
2	ანა ჯავახიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	ივანე ხუციშვილი	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი; პროგრამის ხელმძღვანელი	I
2.	ნატალია თვალჭრელიძე		ილიაუნის თეატრის დირექტორი	I
3.	ნინო მატარაძე		მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი	I
4	ნინო ჟვანია			I

			ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
5	მაკა ლაშხია		ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
6	სალომე გავაშელიშვილი		ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი	I
7	ეკატერინე ქრისტესაშვილი	ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი	ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის პოლიტიკის და დიპლომატიის სკოლის დეკანი	II
8	ეკატერინე აზარაშვილი		ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის წარმომადგენოლიბითი საბჭოს თავმჯდომარე, კანცლერი	II
9	ივანნა მაჩიტიძე		ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი	II
10	გიორგი ქიტოშვილი		ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის პოლიტიკის და დიპლომატიის სკოლის სასწავლო პროცესის კოორდინატორი	II
11	ჯემალ ძაგანია	სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	რექტორი	III
12	გიორგი ზუბიტაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	III
13	მაია ხურცილავა		ხარისხის უზრუვნელყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ	საკითხი
1	ნინო გუნია-კუზნეცოვა	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	თამაზ ბოლქვაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	გიორგი ქანთარია	(ჩაერთო „ზუმით“)	I

4	ნინო ქიმერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	თინათინ გაბრიჩიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
6	ნინო ფავლენიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14**:05** საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ-ილიას სახემწიფო უნივერსიტეტის “ცოცხალი თეატრის ხელოვნება დადგმა და თამაშის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ,,ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მწვრთნელი)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ-ილიას სახემწიფო უნივერსიტეტის “ცოცხალი თეატრის ხელოვნება დადგმა და თამაშის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ,,ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მწვრთნელი)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის განხილვა.

1. **პირველი საკითხი:** სსიპ-ილიას სახემწიფო უნივერსიტეტის “ცოცხალი თეატრის ხელოვნება დადგმა და თამაშის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1		

	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	სამაგისტრო
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	1. თეატრის რეჟისურის მაგისტრი / Master of Directing 2. სამსახიობო ხელოვნების მაგისტრი / Master of Acting
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	N/A
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 32, 0179, თბილისი, საქართველო (უნივერსიტეტის A, C და D კორპუსები და ილიაუნის თეატრი)
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადა ელენე ჟურავლოვამ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის

დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნინო გუნია-კუზნეცოვამ განმარტა, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაცია იყო 1. თეატრის რეჟისურის მაგისტრი 2. სამსახიობო ხელოვნების მაგისტრი. სწავლების ენა - ქართული, კრედიტების რაოდენობა 120, ხოლო პროგრამა - ახალი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში - შემუშავდა 2019-2020 წლებში. შემუშავების პროცესში გამოყენებული იყო საერთაშორისო და ქართული თეატრალური პედაგოგიური პრაქტიკის საუკეთესო მაგალითები. მისი თქმით, პროგრამა ქართული თეატრალური სკოლის კლასიკოსის, მიხეილ თუმანიშვილის, პედაგოგიური პრაქტიკის გაგრძელებას წარმოადგენდა. პროგრამის მნიშვნელოვან, დადებით ასპექტს წარმოადგენდა ის, რომ პროგრამა აერთიანებდა, როგორც ქართულ, ასევე საერთაშორისო გამოცდილებას. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, თუ მიხეილ თუმანიშვილის, სახელოსნოს პრინციპზე დაფუძნებული სწავლება იყო არა ინსტიტუციონალიზებული, აღნიშნული პროგრამა ახდენდა ქართული და საერთაშორისო გამოცდილების ინსტიტუციონალიზებას. ექსპერტის თქმით, უდავოდ რთულ და ამბიციურ ამოცანას წარმოადგენდა რეჟისორებისა და მსახიობების ერთობლივი სწავლება. თუ აღნიშნული ექსპერიმენტი გაამართლებდა, თეატრალურ სამყაროს შეემატებოდა ძალიან საინტერესო, მაღალკვალიფიციური კადრები. ექპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამა ორიენტირებული იყო პრაქტიკულ სწავლებაზე, სახელოსნოს პრინციპზე. გააჩნდა ასევე ექსტრაკურიკულარული კომპონენტები: ასისტირება სხვადასხვა თეატრებში, სტაჟირება საშუალო სკოლებში თეატრალური ხელოვნების მიმართულებით, თეატრალური ხელოვნების სხვადასხვა სპეციფიკის მასტერკლასების გავლა რეალურ თეატრალურ გარემოში, ახალი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება თეატრალურ სტუდიებთან, ახალი თანამედროვე პიესების კითხვა და განხილვა, ფესტივალებში მონაწილეობა, თანამშრომლობა და ერთობლივი პროექტების შექმნა. ექსპერტის მოსაზრებით, ძალიან მნიშვნელოვანი და პოზიტიური იყო ის ფაქტი, რომ მთლიანად პროგრამა ორიენტირებული იყო სასწავლო პროცესის რეალურ თეატრალურ გარემოსთან მიახლოებისაკენ და სწავლების შედეგად ერთობლივი სპექტაკლების სახით საინტერესო, შემოქმედებითი პროდუქტის მიღებისაკენ, რომელთაგანაც საუკეთესო ილიას უნივერსიტეტის თეატრში სარეპერტუარო სპექტაკლად გადაიქცეოდა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა იყო 120 კრედიტიანი და მათ ერთობლიობა იძლეოდა სწავლის შედეგებზე გასვლის, დასახული მიზნებისა და შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ პოზიტიურად შეაფასა აკრედიტაციის საკითხზე გამართული შეხვედრა, რომელიც 2 სექტემბერს, ონლაინ რეჟიმში განხორციელდა. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა, როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ასევე თვითშეფასების ჯგუფს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს. ექსპერტის თქმით დადებით შთაბეჭდილება მოახდინა სწორედ პედაგოგიურმა კოლექტივმა და იმ ახალგაზრდულმა შემადგენლობამ, განსაკუთრებით, მოწვეული პროფესიონალებისა, რომელთაც სახელოსნოს პრინციპზე დაფუძნებული სწავლების ნაწილი უნდა უზრუნველეყოთ. აღნიშნული ახალგაზრდა პედაგოგებიდან ზოგს ძალიან სერიოზული და შთამბეჭდავი საერთაშორისო შემოქმედებით გამოცდილება გააჩნდა და სწორედ აღნიშნული გუნდის პროფესიული დონე იძლეოდა ასეთი ამბიციური მიზნის დაძლევისა და პროგრამის წარმატების იმედს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ 3 სექტემბერს განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, საგრიმიოროები, სარეპეტიციო სტუდიები, თეატრის დარბაზი, და ა.შ) დათვალიერება და რაც მთავარი იყო, ილიას უნივერსიტეტის თეატრი, სადაც მიმდინარეობდა რემონტი. ექსპერტის მოსაზრებით, ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც ჰქონდა

პროგრამას, სავსებით საკმარისი იყო დასახული ამოცანების განსახორციელებლად. ექსპერტის განმარტებით, პროგრამის კიდევ ერთ-ერთი მნიშნელოვანი ელემენტი იყო სხვადასხვა თეატრებთან მემორანდუმების არსებობა.

ექსპერტის თქმით, 1-ლი, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტი შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან, ხოლო მე-2 სტანდარტი მეტწილ შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- (კომპონენტი: 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები) - რეკომენდირებულია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში დაემატოს: „სამსახიობო ოსტატობის მიმართულებით ჩაბარების მსურველთათვის აუცილებელია 3 წლის პრაქტიკა შესაბამის სახელოვნებო სფეროში, კერძოდ, სამსახიობო გამოცდილება.“
- (კომპონენტი: 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი) - რეკომენდირებულია, პროგრამაში მითითებული კრედიტები მოვიდეს შესაბამისობაში „სემესტრულ სასწავლო გეგმასთან“ და სილაბუსებთან მიმართებაში. კერძოდ, „სემესტრულ სასწავლო გეგმასა“ და სასწავლო კურსის „სივრცის დიზაინის“ სილაბუსში მითითებულია 6 კრედიტი, ხოლო პროგრამაში ამ კურსს მინიჭებული აქვს 3 კრედიტი. გამოსწორდეს ეს შეუსაბამობა და პროგრამაში კურსების ჩამონათვალში იგივე დასახელების კურსის 3 კრედიტი გადასწორდეს 6 კრედიტზე.
- (კომპონენტი: 2.3. სასწავლო კურსი) რეკომენდირებულია, ცვლილებები შევიდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში. კერძოდ: - სილაბუსში „პერფორმანსი და ინსტალაცია /პრაქტიკული კურსი“ მკაფიოდ გაიწეროს სწავლის მეთოდები, პრაქტიკული დავალებების თემები და შინაარსი, და სწავლის შედეგები; სავარჯიშოების/დავალებების აღწერა მოხდეს იმ ხელოვნების დარგის მითითებით, რომელშიც ის სრულდება (საშემსრულებლო ანდა ვიზუალური ხელოვნება). - სილაბუსში „სივრცის დიზაინი“ კურსის ორმაგი პრაქტიკულ-თეორიული ხასიათიდან გამომდინარე: ა) მკაფიოდ გაიწეროს პრაქტიკული ნაწილები - თემები და განსაკუთრებით პრაქტიკული სავარჯიშოები/დავალებები (შინაარსი); მათი შეფასების კრიტერიუმები; ბ)მკაფიოდ გაიწეროს თეორიული ნაწილის დავალებები და მათი შეფასებები; გ) მკაფიოდ გაიწეროს შესაბამისი სწავლების პრაქტიკული და თეორიული მეთოდები და კურსის სწავლების შედეგები.
- (კომპონენტი: 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები) - რეკომენდებულია, ზოგიერთ პრაქტიკულ კურსებში, ასევე ზოგიერთ თეორიულ კურსში, სადაც არის შეფასებული წერითი ნაშრომი, როგორც საშინაო დავალება, შუალედური ანდა საბოლო გამოცდა, შესაბამისობაში მოყვანილ იქნას სწავლების მეთოდები შეფასებასთან; კურსების („მოძრაობა და თეატრი “ „მსახიობის ოსტატობა 1, 2“; „დრამის რეჟისურა 1, 2“ „პრაქტიკა ოპერისა და ბალეტის თეატრში“, „სანამ რეპეტიცია დაიწყება“, „სიმღერის ხელოვნება 1, 2“, „არავერბალური თეატრი“, „დოკუმენტური თეატრი“, „ახალი ევროპული დრამა“) სწავლის მეთოდებში აუცილებლად უნდა ჩაიწეროს წერითი მეთოდი. - რეკომენდირებულია, კურსებში, რომელშიც მოცემულია აუდიო და ვიზუალური მასალებზე დაყრდნობით სწავლება (მაგ.: „დითირამბიდან როკ-ოპერამდე“), დემონსტრირების მეთოდები დაკონკრეტდეს, როგორც აუდიო-ვიზუალური დემონსტრირების მეთოდები. - რეკომენდებულია, კურსში „პერფორმანსი და ინსტალაცია / პრაქტიკული კურსი“ გაიწეროს პრაქტიკული სავარჯიშოების სწავლების მეთოდები; დაზუსტდეს, რამდენად რელევანტურია მათთან მოცემული შეფასების კრიტერიუმები.
- (კომპონენტი: 2.6. სტუდენტების შეფასება) - რეკომენდებულია, გაიწეროს კურსის „მასტერკლასი: უილიამ შექსპირი - დადგმა, თამაში, მართვა“ სილაბუსში შუალედური შეფასებების ფორმატი; კერძოდ, გაიწეროს, აფასებს ცალკეულ სავარჯიშოს თითოეული ლექტორი ცალ-ცალკე, თუ ერთიანი კომისიის ფორმატით. ამავე სილაბუსში გაიწეროს

დასკვნითი შეფასების (პრეზენტაციები) ფორმატი; დაზუსტდეს, აფასებს მას მხოლოდ ხელმძღვანელი, თუ ერთიანი კომისია. - რეკომენდებულია კურსის „მსახიობის ოსტატობა 1“ სილაბუსში ჩაიშალოს და დაკონკრეტდეს შუალედურ და საბოლოო შეფასებებში წერითი დავალების კომპონენტების რაობა (ფასდება 10 ქულით) და შეფასების კრიტერიუმები; ოსტატობა 1” სილაბუსში მოცემულ შუალედურ შეფასება II და დასკვნით შეფასებაში დაკონკრეტდეს წერით ნაწილში რა ტიპის/სირთულის დიალოგი იგულისხმება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მაკა ლაშხიამ, ისაუბრა რეკომენდაციებზე და აღნიშნა, რომ რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი იყო ტექნიკური ხასიათის და ინსტიტუციამ ყველა ტექნიკური ხარვეზი გამოასწორა, რის შესახებაც შესაბამისი დოკუმენტები არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა ინსტიტუციამ.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ივანე ხუციშვილმა შინაარსობრივ რეკომენდაციებთან დაკავშირებით ისაუბრა და აღნიშნა, რომ ნაწილობრივ იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაკეთებულ პირველ რეკომენდაციას და მიზანშეწონილად მიიჩნევდა, პროგრამის მიღების წინაპირობის დაზუსტებას შემდეგნაირად: „მაგისტრანტობის კანდიდატს, რომელსაც სურს ჩააბაროს სამსახიობო ხელოვნების მიმართულებაზე, სასურველია ჰქონდეს 2-3 წლიანი პრაქტიკა შესაბამის სფეროში (თეატრი და კინო). დარგობრივი კომისია პრიორიტეტს მიანიჭებს იმ აპლიკანტებს, ვისაც ექნება 2-3 წლიანი პრაქტიკა შესაბამის სფეროში (თეატრი და კინო)". რადგან, დაწესებულების წარმომდგენლის თქმით, მიაჩნია, რომ უმჯობესი იქნებოდა ყველა მსურველს მაქსიმალურად მისცემოდა განაცხადის გაკეთების შესაძლებლობა და არ შეეფერხებინა სავალდებულო 3 წლიან გამოცდილებას ნიჭიერი, სამსახიობო უნარის მქონე აპლიკანტი. აქედან გამომდინარე, დაწესებულების წარმომადგენელს მიაჩნია, რომ სწორი იქნებოდა პრიორიტეტი მინიჭებულიყო მაგისტრანტობის მსურველის თავისუფალ ნებას და ეს გამოცდილება არ ყოფილიყო სავალდებულო მოთხოვნა. აღნიშნული ფორმულირება უფრო მეტი ლავირების საშუალებას აძლევდა დარგობრივ კომისიას, რომელიც თითქმის დაკომპლექტებული იქნება პრაქტიკოსი პედაგოგებისგან, რომ გამოავლინონ ნიჭიერი და სამსახიობო უნარების მქონე აპლიკანტი. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით შიდასაუნივერსიტეტო მისაღები გამოცდა იმდენად მრავალფეროვანი იყო, რომ უზრუნველყოფდა აპლიკანტის უნარების მაქსიმალურ გამოვლენას. მისაღები გამოცდები შედგებოდა სამი ეტაპისგან: 1) ინტერვიუ აპლიკანტთან, სადაც მოტივაცია და კომუნიკაცია ფასდება; 2) შემოქმედებითი ტური, სადაც ლიტერატურული მასალის გააზრების და გადმოცემის უნარი ფასდება. 3) ჯგუფური გამოცდა, სადაც სტუდენტები ფასდებიან იმპროვიზაციის უნარში, აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, თამარ ჩხაიძემ დააფიქსირა მოსაზრება, რომ სრულად იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს და შეფასებას. მისი თქმით, განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა იმ კონცეფციამ, რომ სტუდენტები პრაქტიკას გაივლიდნენ რეალურ გარემოში. ამაზე მეტყველებდა გაფორმებული მემორანდუმებიც. საბჭოს წევრი აღნიშნავდა, რომ სწავლების იმგვარი პრინციპის არჩევის დროს, სასწავლო დაწესებულებას ალბათ ბევრი სირთულე ექნებოდა გადასალახი. საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა ინსტიტუციას, ჰქონდა თუ არა ინსტიტუციას განსაზღვრული, როგორ გადანაწილდებოდა 20 აპლიკანტი სარეჟისორო და სამსახიობო მიმართულებით. საბჭოს წევრის განმარტებით, აღნიშნული კითხვა გამომდინარეობდა საბოლოო სამაგისტრო პროექტიდან, რომელიც სტუდენტების ერთობლივი მუშაობის შედეგი უნდა ყოფილიყო. საბჭოს წევრის თქმით, თუ კი დადგებოდა შემთხვევა, როდესაც იქნებოდა ბევრი რეჟისორი და ნაკლები მსახიობი, როგორ შესრულდებოდა

სტუდენტების ერთობლივი სამაგისტრო ნაშრომი. საბჭოს წევრმა, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, რომ უფრო ნათლად აეხსნათ სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესი. მისი თქმით არსებობდა დოკუმენტი ამასთან დაკავშირებით, თუმცა გარკვეული კითხვები მაინც არსებობდა. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამა ყველა თვალსაზრისით (სტრუქტურით, შინაარსით, წინაპირობებით და საბოლოო შედეგით) წარმოადგენდა პროგრამას ორი კვალიფიკაციით, რომელშიც რეალურად იყო კონცენტრაციები და საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებთან იყო სრულ შესაბამისობაში, საბჭოს წარმომადგენელი დაინტერესდა, რატომ არ ერქვათ კონცენტრაციები აღნიშნული სპეციალობის მოდულებს.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ მისთვის წინააღმდეგობა გამოიწვია 3 წლიანმა სამსახიობო გამოცდილებამ. საბჭოს წევრი დაინტერესდა, რამ გამოიწვია აღნიშნული რეკომენდაცია (რეკომენდირებულია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში დაემატოს: „სამსახიობო ოსტატობის მიმართულებით ჩაბარების მსურველთათვის აუცილებელია 3 წლის პრაქტიკა შესაბამის სახელოვნებო სფეროში, კერძოდ, სამსახიობო გამოცდილება.“) ამგვარი ფორმულირებით. ასევე, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ 2.2 კომპონენტში, ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შეთავაზება კრედიტების ცვლილების. საბჭოს წევრი დაინტერესდა, არღვევდა თუ არა ეს სისტემას და დარჩებოდა თუ არა 120 კრედიტი. ასევე 2.5 კომპონენტში, მითითებული იყო რეკომენდაცია „სიმღერის ხელოვნება“ 1-ში და 2-ში ფინალური გამოცდის წერითი მეთოდების გამოყენებით ჩატარება. საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, როგორ ხდებოდა სიმღერის ფინალურ გამოცდაზე წერითი მეთოდების გამოყენება. საბჭოს წევრმა ასევე მიმართა ინსტიტუციას და აღნიშნა, რომ გაეცნო რესპოდენტთა გამოკითხვებს, გამოყენებულ მეთოდოლოგიას და გამოკითხულთა რაოდენობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა, ინსტიტუციას გაეფართოვებინა კვლევა და 6-ზე მეტი რესპოდენტი გამოეკითხა. ბიუჯეტი ახალ ფორმატში იყო წარმოდგენილი, მაგრამ ხარჯები პრაქტიკულად უტოლდებოდა შემოსავალს. ანუ, ერთ მაგისტრს რომ შეეწყვიტა სწავლა, შემოსავალი ხარჯზე უფრო ნაკლები იქნებოდა და ამ შემთხვევაში თუ ჰქონდა დაწესებულებას უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული ხარჯები, რომლებიც დაიხარჯებოდა პროგრამის ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად. საბჭოს წევრმა დაწესებულების წარმომადგენლებს ასევე კითხვით მიმართა სამსახიობო ხელოვნების მაგისტრის უნარებთან დაკავშირებით. კერძოდ, ჩანაწერზე რომლის გააზრების, როლზე დამოუკიდებლად მუშაობის, შექმნის და საჯარო დემონსტრირების უნართან დაკავშირებით, ეს სპეციფიურად სამაგისტრო დონე იყო და როლის გააზრება შეეძლო მხოლოდ მაგისტრს.

საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ სასიმღერო ხელოვნების კურსის მიზნებში და ამოცანებში, სწავლის შედეგებში ნათლად იყო გაწერილი, რომ სტუდენტი შეიძენდა უნარს, რომ მოეხდინა სასიმღერო ნიმუშის ჟანრული, სტილური და ასე შემდეგ, ანალიზი. სწავლის შედეგი იქნებოდა ის, რომ სტუდენტი შეძლებდა მუსიკალური ნიმუშის არტისტულ დონეზე შესრულებას დახვეწილი მანერით. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, პრობლემის წინაშე შესაძლოა აღმოჩენილიყო პედაგოგი, რადგან სტუდენტს შესაძლოა არ ჰქონოდა ბუნებრივად ის უნარები, რომლებიც სწავლის ორი სემესტრის განმავლობაში მისცემდა სწავლის შედეგზე გასვლის საშუალებას, მიუხედავად სწავლების მეთოდის ეფექტურობისა. საბჭოს წევრმა ასევე კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ როგორ შეძლებდა მაგისტრი სწავლის შედეგებზე გასვლას, თუ მას არ ჰქონდა მუსიკალური განათლება, სანოტო ტექსტთან მუშაობის უნარი. საბჭოს წევრის აზრით შედეგი იყო დასაკორექტირებელი, რადგან აღნიშნულ შედეგზე გასვლა წარმოუდგენელი იყო, თუ მუსიკალური ტექსტის კითხვა არ შეეძლო სტუდენტს. მხოლოდ სმენითი გამოცდილებით სტილური და ჟანრული ანალიზის ჩატარება წარმოუდგენელი იყო. შესაძლებელი იყო

აღნიშნული კურსის გარკვეულად კორექტირება იმგვარად, რომ მაგისტრი იმ დონით დაუფლებოდა სასიმღერო ხელოვნების უნარებს, რა დონითაც მას ეს სჭირდებოდა სამსახიობო, პროფესიული ოსტატობის სრულყოფისათვის.

ინსტიტუციის წარმომადგენელმა, ნატალია თვალჭრელიძემ სტუდენტების გადანაწილებასთან დაკავშირებულ შეკითხვას უპასუხა და აღნიშნა, რომ 20 აპლიკანტიდან, სავარაუდოდ იქნება 5 რეჟისორი და 15 მსახიობი, თუმცა მისი თქმით შესაძლებელია რაოდენობების ცვლილება. სამაგისტრო პროექტთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა, განმარტა, რომ თუ ინსტიტუცია მიიღებს 5 რეჟისორს და 15 მსახიობს, გამოვიდოდა 5 სარეჟისორო სამაგისტრო პროექტი და 15 მსახიობის ერთობლივი ჯგუფური სამსახიობო ფინალური პროექტი. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არ იქნებოდა მსახიობთა რაოდენობა საკმარისი, რაც დაწესებულების წარმომადგენლის პოზიციით ნაკლებ სავარაუდო იყო, ამ შემთხვევაში პროცესს დაეხმარებოდა თეატრი, რადგან არ იყო აუცილებელი მსახიობი აუცილებლად იყოს სტუდენტი. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, საბაკალავრო პროგრამაზე ხშირად იწვევდნენ პროფესიონალ მსახიობებს, რათა ითამაშონ სტუდენტი რეჟისორის სპექტაკლში. მისი განმარტებით, ასევე სტუდენტი რეჟისორი არ იყო შეზღუდული მხოლოდ კურსელი სტუდენტების შერჩევით და მას ჰქონდა შესაძლებლობა მსახიობის მოწვევის, რომელიც სტუდენტ რეჟისორს დააინტერესებდა. პროგრამის ბიუჯეტთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვას, რომელიც შეეხებოდა ხარჯებს, დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ თუ მოხდებოდა მაგალითად ისე, რომ დაწესებულება მიიღებდა 18 სტუდენტს და არა - 20-ს, რაც შესაძლებელი იყო, ამ შემთხვევაში ჩაერთვებოდა თეატრის ბიუჯეტი, რომელიც ცალკე არსებობდა უნივერსიტეტში, მას გააჩნდა სტუდენტური სპექტაკლების დაფინანსების ცალკე ხაზი. გათვალისწინებული იყო, როგორც სადიპლომო სპექტაკლების მინიმალური ხარჯები, ასევე საკურსო სპექტაკლების და პერფომანსების.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ კურიკულუმის ორგანიზების, კონცენტრაციების შესახებ კითხვას უპასუხა და განმარტა, რომ კონცენტრაციები ეროვნული კლასიფიკატორის მიხედვით იყო ერთეული, რომელიც არ განაპირობებდა კვალიფიკაციის ცვლილებას, არამედ ვარირებული კომპენენტი იყო ერთი კვალიფიკაციის ფარგელბში, როგორც ეს განმარტებული იყო კვალიფიკაციის ჩარჩოში. აქედან გამომდინარე, დაწესებულების მხრიდან არ იყო გამოყენებული სახელწოდება პროგრამის მოდულების, კვალიფიკაციების შემთხვევაში, რადგან ცხადი იყო, არსებობდა ორი მიმართულება და ენიჭებოდა ორი სხვადასხვა კვალიფიკაცია. ერთეული იწვევდა კვალიფიკაციის ცვლილებას, რითიც იყო განპირობებული ის, რომ დაწესებულება აღნიშნულ ცნებას არ იყენებდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ივანე ხუციშვილმა სამაგისტრო ნაშრომის პროცესთან და პროცედურასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე უპასუხა, რომ რეჟისორები დამოუკიდებლად დგამდნენ თითო-თითო სპექტაკლს და სამსახიობო ჯგუფთან ცალკე იდგმებოდა სპექტაკლი. წინასწარ ვერაფრით ვერ იქნებოდა განსაზღვრული რა სპექტაკლი იქნებოდა დადგმული, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებამ წინასწარ არ იცოდა თუ ვის მიიღებდა პროგრამაზე. ლიტერატურული მასალის შერჩევა ხდებოდა უკვე მიღებული სტუდენტებისგან გამომდინარე, რომელზეც ისინი იმუშავებდნენ და მიიღებდნენ კვალიფიკაციას. რეჟისორთა ჯგუფის შემთხვევაში არჩევანი აბსოლიტურად დამოუკიდებელი იყო, მათი ინტერესებიდან გამომდინარე ირჩევდნენ ლიტერატურულ მასალას და დგამდნენ, შეფასებაც ხდებოდა ინდივიდუალურად. დაწესებულება პრიორიტეტს ანიჭებდა, რეჟისორთა ჯგუფის მიერ, სპექტაკლების დადგმისას მათში მსახიობთა ჯგუფის წევრების მონაწილეობას, თუმცა რეჟისორებს, რა თქმა უნდა ჰქონდათ არჩევანის თავისუფლება, რომ კონკრეტული მასალიდან გამომდინარე, მსახიობის მოწვევის სურვილის შემთხვევაში, მოიწვიოს და შეავსოს ჯგუფი მოწვეული მსახიობებით. დაწესებულების წარმომადგენემა ასევე უპასუხა შეკითხვას კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ სტუდენტს ჰქონდა როლის გააზრების, როლზე დამოუკიდებლად მუშაობის, შექმნისა და საჯარო დემონსტრირების უნარი, მსახიობის ოსტატობის ელემენტების გამოყენებით. მან აღნიშნა, რომ

მიზეზი, თუ რატომ პასუხობდა აღნიშნული კომპეტენცია სამაგისტრო საფეხურს, იყო ის, რომ სტუდენტს შეეძლო ლიტერატურულ და ქმედით ანალიზზე, კვლევაზე დაყრდნობით გაეაზრებინა და შეემუშავებინა პრაქტიკაში განსახორციელებელი ქმედებები, ასევე თავისი ჩანაფიქრის სხვადასხვა ფორმებში წარმოჩენა. აღნიშნულის დამოუკიდებლად წარმოჩენა მიმართებაში იყო სამაგისტრო საფეხურთან, რაც საბაკალავრო საფეხურზე არ ხდებოდა.

საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ დამაზუსტებელი კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, მსახიობთა ჯგუფის მიერ შესრულებული სპექტაკლი და რეჟისორთა ჯგუფის მიერ შესრულებული სამაგისტრო სადიპლომო ნაშრომი თანხვედრაში იყო ერთმანეთთან და წარმოადგენდა ერთ შედეგს, თუ არა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ივანე ხუციშვილმა უპასუხა შეკითხვას და განმარტა, რომ სასწავლო პროცესში მათ წინასწარ არ ჰქონდათ ინფორმაცია, თუ ვინ იქნებოდა მათი აპლიკანტი. საგამოცდო ტურებში ნელ-ნელა იკვეთებოდა სტუდენტთა დონე და შესაძლებელი ხდებოდა მომავალში სამუშაო მასალის შერჩევაზე ფიქრი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნატალია თვალჭრელიძემ დაამატა და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იყო სტუდენტების შემოქმედებითი თავისუფლების შენარჩუნება, განსაკუთრებით აღნიშნულ პროფესიაში. პიესას, რომელსაც რეჟისორები აარჩევდნენ თავიანთ სადიპლომო ნაშრომის შესაქმნელად, ეს შეთანხმებული იქნებოდა თეატრთანაც, რადგან მას თავისი სარეპერტუარო ინტერესები ჰქონდა, შეთანხმებული იქნებოდა ასევე ხელმძღვანელთანაც, მაგრამ დიდი წილად დაეფუძნებოდა სტუდენტთა ინტერესებს, რათა მათ თავისუფლად ეგრძნოთ თავი შემოქმედებაში და დაწესებულება ვერ დაავალდებულებდა, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში ესწავლა სტუდენტს მათთან, თ შექსპირის დადგმა სურდა.

საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ დაამატა, რომ მისი მოსაზრებით, გამოდიოდა, რომ იყო ორი განსხვავებული სამაგისტრო პროექტი და მათ განსხვავებული შეფასების ფორმები და შეფასების კრიტერიუმები ქონდათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნატალია თვალჭრელიძემ დაადასტურა, რომ იყო განსხვავებული შეფასების ფორმები და კრიტერიუმები ჩადებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ივანე ხუციშვილმა ასევე დაამატა, რომ სახელოსნოს პრინიცით მუშობის გათვალისწინებით, სტუდენტები ერთად მუშაობდნენ, თუმცა საკვალიფიკაციო ნაშრომში რეჟისორები და მსახიობები ფასდებოდნენ ცალ-ცალკე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნატალია თვალჭრელიძემ შრომის ბაზართან დაკავშირებულ შეკითხვას უპასუხა და განმარტა, რომ ჩაღრმავებულ კვლევაში იყო 6 რესპოდენტი, ხოლო მათი შერჩევა მოხდა საქართველოში არსებული 48 მოქმედი თეატრის 10%-იდან შემთხვევითობის პრინციპით. დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე განმარტა, რომ მუდმივ კონტაქტში იყვნენ საქართველოში მოქმედ ყველა თეატრთან. მოწვეული პედაგოგები მუშაობდნენ სხვადასხვა თეატრებში, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლის თქმით არ იყო წარმოდგენილი კვლევაში, რადგან მათი აზრი უკვე იცოდნენ პროგრამის წარმომადგენლებმა, პროგრამაზე მუშაობის დროს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, 2.5 კომპონეტთან დაკავშირებულ შეკითხვას უპასუხა და განმარტა, რომ კურსები, რომელიც იყო ჩამოთვლილი, ძირითადად იყო პრაქტიკული კურსები და ძალიან დიდი მნიშვნელობა სამაგისტრო საფეხურზე ენიჭებოდა თეორიულ ნაწილს და ყველა კურსში იყო ჩადებული გარკვეული თეორიული ნაწილი, რომლის შედეგი შეფასებული იყო წერითაც, თუმცა ზოგიერთ სილაბუსებში აკლდა წერითი მეთოდი. ექსპერტის განმარტებით, თუ გარდა სიმღერის ოსტატობის პრაქტიკული ნაწილისა მოითხოვება სტუდენტისგან ანალიტიკური ნაწილი, რომელიც ფასდება, როგორც წერითი ნამუშევარი, ხოლო ამ ლოგიკით სილაბუსებში, სადაც იყო შუალედური და საბოლოო შეფასება იყო ასევე წერითაც, მისი თქმით ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ საჭირო იყო ამ წერითი მეთოდის მითითება მეთოდებს შორის. კრედიტების რაოდენობასთან დაკავშირებულ შეკითხვაზე, ექსპერტმა განმარტა, რომ როდესაც ჰქონდათ ონლაინ შეხვედრა ინსტიტუციის წარმომადგენლებთან, წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით იყო ასიმეტრია. მისი თქმით,

როდესაც ექსპერტებმა სემესტრულ გეგმაში ნახეს 6 კრედიტი, ხოლო სილაბუსში და პროგრამაში 3, გაჩნდა კითხვა, თუ რომელი დოკუმენტი იყო მართებული, ეს იყო ტექნიკური შეცდომა თუ გამორჩენილი იყო რომელიმე სასწავლო კურსი. ექსპერტების მიერ აღნიშნულის გადამოწმებისას ინსტიტუციის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი და მეორე დღესვე წარმოადგინეს გასწორებული სილაბუსი, თუმცა ექსპერტის თქმით პროგრამა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დასრულებამდე არ იყო ტექნიკურად გამართული, შესაბამისად აღნიშნული საკითხი გაიწერა რეკომენდაციაში. წინაპირობებთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით, ვინაიდან საბაკალავრო დონეზე, როდესაც მსახიობი გადის 4 წლიან მომზადებას მისი ინტელექტუალური და ფიზიკური უნარები გარკვეულწილად ფართოდ უნდა იყოს განვითარებული. ვინაიდან ექსპერტის განმართებით მსახიობისთვის, მისი სხეული იყო სამეტყველო ენა, რადგან ის გამოხატავდა თავის ემოციებს სხეულის საშუალებით, აქედან გამომდინარე მთელი ის გამოცდილება, რასაც საბაკალავრო დონეზე მსახიობი გადიოდა სხეულის ტრენინგის თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ხოლო თუ სამაგისტრო პროგრამაზე ნებისმიერი სხვა სპეციალობის ადამიანის მიღება ხდება სამსახიობო მიმართულებით, ის გამოცდილება, რომელიც ალტერნატიულ აპლიკანტს, რომელსაც სამსახიობო პრაქტიკა აქვს დამთავრებული, ექსპერტის თქმით სხვა პროფესიიდან მოსულს ვერ ექნებოდა. სამაგისტრო პროგრამა კი გულისხმობდა, აღნიშნულ სპეციალობაში გაღრმავებული უნარებისა და ცოდნის შეძენას. ექსპერტის მოსაზრებით სამაგისტრო დონეზე მსახიობის კვალიფიკაციის მქონე ადამიანს ბაკალავრიატის დონესთან შედარებით უფრო მაღალი დონე უნდა ჰქონდეს. შესაბამისად სხვა სპეციალობის აპლიკანტს საჭიროა ჰქონდეს 3 წელი ტრენინგისთვის. გარდა ამისა 3 წელი ასევე მოხსენიებული იყო თვითშეფასებაში, აქედან გამომდინარე ექსპერტის განმარტებით, ინტერვიუირებისას ექსპერტთა ჯგუფი და ინსტიტუციის წარმომადგენლები შეთანხმდნენ, იმაზე, რომ ეს მოთხოვნა იყო ძალიან მნიშნელოვანი, რადგან ის ბევრ წილად განაპირობებდა, როგორც სწავლების პროცეს ასევე საბოლოო შედეგს. ექსპერტის თქმით, სხვა უნივერსიტეტებში სამსახიობო სამაგისტრო პროგრამებმა ვერ გაამართლეს, აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასებით აღნიშნული პროგრამა იყო საკმაოდ ამბიციური, რადგან, როგორც სარეჟისორო, ასევე სამსახიობო ხელოვნებაში ცდილობს გათანაბრებულად მიანიჭოს მაღალი კვალიფიკაცია ვიდრე აქამდე ამის პრაქტიკა არსებობდა.

საბჭოს წევრო, გიორგი ღაღანიძე დაინტერესდა, იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტი მოვიდა შესაბამისი ბაკალავრის მქონე დიპლომით, მოეთხოვება თუ არა სამსახიობო პრაქტიკული გამოცდილება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, განმარტა, რომ არც თვითშეფასების ანგარიში და არც ვიზიტის დროს არ იყო მკაცრად დასმული საკითხი, რომ აუცილებლად მსახიობის ბაკალავრის მქონე აპლიკანტის მიღება ხდებოდა, ამის დასაბალანსებლად გაიწერა აღნიშნული რეკომენდაცია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:10
დასრულების დრო: 15:40

15:40 საათზე აკრედიტაციის საბჭოს შემოუერთდა საბჭოს წევრი ნინო იმნაძე.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ცოცხალი თეატრის ხელოვნება დადგმა და თამაშის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

- რეკომენდირებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სწავლის შედგებთან;
- რეკომენდირებულია, ცვლილებები შევიდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში. კერძოდ:

- სილაბუსში „პერფორმანსი და ინსტალაცია /პრაქტიკული კურსი“ მკაფიოდ გაიწეროს სწავლის მეთოდები, პრაქტიკული დავალებების თემები და შინაარსი, და სწავლის შედეგები; სავარჯიშოების/დავალებების აღწერა მოხდეს იმ ხელოვნების დარგის მითითებით, რომელშიც ის სრულდება (საშემსრულებლო ანდა ვიზუალური ხელოვნება).
- სილაბუსში „სივრცის დიზაინი“ კურსის ორმაგი პრაქტიკულ-თორიული ხასიათიდან გამომდინარე: ა) მკაფიოდ გაიწეროს პრაქტიკული ნაწილები - თემები და განსაკუთრებით პრაქტიკული სავარჯიშოები/დავალებები (შინაარსი); მათი შეფასების კრიტერიუმები; ბ)მკაფიოდ გაიწეროს თეორიული ნაწილის დავალებები და მათი შეფასებები; გ) მკაფიოდ გაიწეროს შესაბამისი სწავლების პრაქტიკული და თეორიული მეთოდები და კურსის სწავლების მეთოდები.

- რეკომედირებულია, ზოგიერთ პრაქტიკულ კურსებში, ასევე ზოგიერთ თეორიულ კურსში, სადაც არის შეფასებული წერითი ნაშრომი, როგორც საშინაო დავალება, შუალედური ანდა საბოლო გამოცდა, შესაბამისობაში მოყვანილ იქნას სწავლების მეთოდები შეფასებასთან;
- რეკომედირებულია, კურსში „პერფორმანსი და ინსტალაცია / პრაქტიკული კურსი“ გაიწეროს პრაქტიკული სავარჯიშოების სწავლების მეთოდები; დაზუსტდეს, რამდენად რელევანტურია მათთან მოცემული შეფასების კრიტერიუმები.
- რეკომენდირებულია, გაიწეროს კურსის „მასტერკლასი: უილიამ შექსპირი - დადგმა, თამაში, მართვა“ სილაბუსში შუალედური შეფასებების ფორმატი; კერძოდ, გაიწეროს, აფასებს ცალკეულ სავარჯიშოს თითოეული ლექტორი ცალ-ცალკე, თუ ერთიანი კომისიის ფორმატით. ამავე სილაბუსში გაიწეროს დასკვნითი შეფასების (პრეზენტაციები) ფორმატი; დაზუსტდეს, აფასებს მას მხოლოდ ხელმძღვანელი, თუ ერთიანი კომისია.
- რეკომენდირებულია კურსის „ მსახიობის ოსტატობა 1“ სილაბუსში ჩაიშალოს და დაკონკრეტდეს შუალედურ და საბოლოო შეფასებებში წერითი დავალების კომპონენტების რაობა (ფასდება 10 ქულით) და შეფასების კრიტერიუმები; ოსტატობა 1” სილაბუსში მოცემულ შუალედურ შეფასება II და დასკვნით შეფასებაში დაკონკრეტდეს წერით ნაწილში რა ტიპის/სირთულის დიალოგი იგულისმება.

რჩევები ჩამოყალიბდა შემდეგირედაქციით:

- სასურველია, კომპეტენციების რუკაში სრულად გაიწეროს კურსის „სივრცის დიზაინის“ თეორიული ნაწილის შედეგად მიღებული კომპეტენციები;
- სასურველია, შეფასდეს ნიშნულების უთანაბრობის საკითხი: მომავალში პროგრამის მონიტორინგის განხორციელების შედეგად შეფასდეს სამსახიობო ხელოვნების მიმართულებით სამიზნე ნიშნულების და სწავლის შედეგების შესაბამისობა პროგრამის

მიზანთან; საჭიროების შემთხვევაში გაიზარდოს/განვითარდეს კომპეტენციები და სწავლის მეთოდები შესაბამის სამსახიობო მიმართულების სასწავლო კურსების სილაბუსებში;

- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა კვალიფიკაციასთან მიმართებაში (გვ.1);
- სასურველია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში დაემატოს: „სამსახიობო ოსტატობის მიმართულებით ჩაბარების მსურველთათვის აუცილებელია 3 წლის პრაქტიკა შესაბამის სახელოვნებო სფეროში, კერძოდ, სამსახიობო გამოცდილება.“
- სასურველია, სამომავლოდ დაკონკრეტდეს წარმოსადგენი პორტფოლიოს ფორმატი;
- სასურველია მომავალში პრაქტიკაში განხორციელებული სადიპლომო სპექტაკლების ხელმძღვანელობის ანალიზის შედეგად „სადიპლომო სპექტაკლის კონცეფციის“ დოკუმენტში უფრო მკაფიოდ იქნას გაწერილი პრაქტიკულ-შემოქმედებითი და კვლევით - ანალიტიკური კომპონენტები და მათი განხორციელების მეთოდები;
- სასურველია, კურსების „მოძრაობა და თეატრი“, „დითირამბიდან როკ-ოპერამდე“, „პერფორმანსი და ინსტალაცია“, „პერფორმანსი და ინსტალაცია / პრაქტიკული კურსი“, „პრაქტიკა თოჯინების თეატრში“, „პრაქტიკა ოპერისა და ბალეტის თეატრი“, „სივრცის დიზაინი“ სილაბუსებში ზოგადი შინაარსი დაკონკრეტდეს, მეტად ჩაიშალოს სალექციო თემები.
- სასურველია, კურსის “მსახიობის ოსტატობა 1” სილაბუსში უფრო დაწვრილებით ჩაიშალოს ლიტერატურული ანალიზის კომპონენტის (ლიტერატურული და თეატრალური ანალიზი - სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“) სწავლის ეტაპები;
- სასურველია, მომავალი მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით და პირველი მასტერკლასების ჩატარების გამოცდილების ანალიზის საფუძველზე მასტერკლასების ბლოკს მიენიჭოს კრედიტი, გაიწეროს ამ ბლოკის სილაბუსი ან კონცეფცია; აისახოს კომპეტენციების რუკაში და სამიზმე ნიშნულებში;
- სასურველია, 3 კრედიტიანი კურსებისათვის „პრაქტიკა თოჯინების თეატრში“ და ,,პრაქტიკა ოპერისა და ბალეტის თეატრში“ გადაიხედოს კრედიტების რაოდენობა, რომ მათთვის განკუთვნილი საათები მეტად შესაბამისობაში მოვიდეს სილაბუსებში გაწერილ კომპეტენციებთან; სასურველია დაემატოს კრედიტები, რომ სასწავლო კურსის რეალური შედეგი გავიდეს კომპეტენციების რუკაში გაწერილ შედეგებზე;
- რეკომედებულია, კურსებში, რომელშიც მოცემულია აუდიო და ვიზუალური მასალებზე დაყრდნობით სწავლება (მაგ.: „დითირამბიდან როკ-ოპერამდე“), დემონსტრირების მეთოდები დაკონკრეტდეს, როგორც აუდიო-ვიზუალური დემონსტრირების მეთოდები;
- სასურველია, კურსისთვის „პრაქტიკის თეატრში“ შემუშავდეს დღიურის ფორმა;
- სასურველია წარმოდგენილი იქნას პროგრამის დაფინანსების საუნივერსიტეტო წყაროები პროგრამის ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად;
- • სასურველია უმაღლეს სასწავლებელმა წარმოადგინოს სტანდარტთან შედარების მასალები (ე.წ. ბენჩმარკის ანალიზის შედეგები), საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით;
- სერვისების განვითარებაზე დაკვირვებისა და კვლევის შედეგების შეჯერების მიზნით სასურველია განმერეობით მომზადდეს სტუდენტური სერვისების კვლევა;

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-5 და მე-7 პუნქტების, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“

ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ცოცხალი თეატრის ხელოვნება დადგმა და თამაშის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

2. მეორე საკითხი: ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	(09.10.2020; #971594)
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მე-6
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	ბაკალავრიატი
9	კვალიფიკაციის დასახელება	• · სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი საერთაშორისო ურთიერთობებში • · სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი პოლიტიკის მეცნიერებაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	Political sciences and civics (0312)
13	სწავლების ენა	ინგლისური
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი	ნოდარ ბოხუას 11, 0159, თბილისი, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ფავლენიშვილმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა რამდენიმე სილაბუსში შეფასების კრიტერიუმის დიაპაზონის შემცირებას, უფრო დეტალური ფორმატის მინიჭებას, ტერორიზმის, კიბერ უსაფრთხოების, მახლობელი აღმოსავლეთს პოლიტიკური გეოგრაფიის, შესავალი საჯარო პოლიტიკაში და ფრანგული ენის კურსების ყველა დონის სილაბუსებში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ შეისწავლა წარდგენილი დოკუმენტები, პროგრამა დეტალურად და დარწმუნდა, რომ პროგრამამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და მაქსიმალური სიზუსტით შეასრულა. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც პროგრამაში პოლიტიკის მეცნიერების კომპონენტის გაძლიერებას ეხებოდა და ამისათვის ანტიკური ხანიდან დღემდე პოლიტიკური ფილოსოფიის კურსის დამატების რეკომენდაციას ეხებოდა, ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამამ ასევე გაითვალისწინა მეორე რეკომენდაციაც და წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებდა, რომ კურსი დაემატა პროგრამას, რაც იმედს იძლეოდა, რომ გააძლიერებდა პროგრამას, კარგ საფუძველს შექმნიდა სტუდენტებისათვის სრულყოფილი, მაკვალიფიცირებელი სტატუსის მისაღებად. ესპერტმა ასევე ისაუბრა და აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართ გაცემული იყო ასევე რჩევებიც, თუმცა რჩევები დაწესებულების მხრიდან არ იქნა გაზიარებული. ექსპერტმა ჩამოთვალა დოკუმენტაცია, რომელიც დაწესებულების მხრიდან მისთვის იქნა წარდგენილი. ესენი იყო: სილაბუსები, ახალი კურსი, პოლიტიკური ფილოსოფია და საბჭოს გადაწყვეტილებები, რომელშიც მიღებული იყო გადაწყვეტილებები რეკომენდაციასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ რეაკრედიტაციის პროცესი თანამშრომლობითი იყო და დაწესებულების წარმომადგენლებმა ვიზიტის პროცესშივე აღნიშნეს, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციების გათვალისწინებას გეგმავდნენ, შესაბამისი აკადემიური გუნდის ჩართლობითა და მხარდაჭერით. დაწესებულების მიერ ჩატარებული იყო შესაბამისი სამუშაოები პოლიტიკისა და დიპლომატიის სკოლის ფარგლებში და ანგარიში წარმოდგენილი იყო ვადების დაცვით. დაწესებულებამ სრულად გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაციები, რადგან თვლიდა, რომ რეკომენდაციების გათვალისწინება გააუმჯობესებდა და გაამდიდრებდა პროგრამას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ეკატერინა ქრისტესაშვილმა დაამატა და აღნიშნა, რომ პოზიტიური თანამშრომლობა შედგა დაწესებულებასა და ექსპერტთა ჯგუფს შორის და იმედოვნებდა, რომ გაცემული და შესრულებული რეკომენდაციები კიდევ უფრო გაზრდიდა პროგრამის ხარისხს. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულება მუშაობდა რჩევების შესრულების მიმართულებითაც და მზად იყვნენ მომავალში წარმოედგინათ ის ნაბიჯები, რომელსაც მომდევნო პერიოდში პროგრამის კიდევ უფრო გასაძლიერებლად გადადგამდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ ლიტერატურაში ყველაფერი ინგლისურ ენაზე იყო მითითებული, სწავლების საფეხური კი წარმოადგენდა ბაკალავრიატს. აღნიშნული ერთმანეთთან წინააღდეგობაში ხომ არ მოდიოდა, თუ განსაზღვრული იყო ინგლისური ენის ცოდნა, როგორც წინაპირობა, იმ დონეზე, რომ ინგლისური ლიტერატურის წაკითხვა შეძლებოდათ სტუდენტებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ეკატერინე ქრისტესაშვილმა განმარტა, რომ პროგრამა იყო ინგლისურ ენოვანი, შესაბამისად ინგლისური ლიტერტურა იყო ინგლისური.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, აღნიშნა, რომ წინა საბჭოს რეკომენდაცია შეეხებოდა „პოლიტიკის ფილოსოფიის“ კურსის დამატებას, იმიტომ რომ გაძლიერებულიყო პოლიტიკის საკითხების სწავლება პროგრამაში. საბჭოს წევრის თქმით, სილაბუსი, რომელიც დაამატა ინსტიტუციამ, ძალიან საინტერესო იყო, თუმცა ეს სასწავლო კურსი არ იყო პოლიტიკის ფილოსოოფის კურსი, არამედ ეს კურსი იყო პოლიტიკის ფილოსოოფის ისტორიის კურსი. საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რატომ დაამატა პოლიტიკის ფილოსოფიის ისტორიის კურსი პროგრამაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ეკატერინე ქრისტესაშვილმა განმარტა, რომ პოლიტიკის ფილოსოფიის კურსი მოიცავდა, როგორც ისტორულ რაკურსს, ასევე აქცენტი გაკეთებული იყო კონკრეტულ თემებზე. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით კურსი წარმოადგენდა ერთგვარ ნაზავს, რომელიც ბაკალავრიატის დონისათვის ორივე მიმართულებით მიდოდა. პროგრამის სხვა ზოგიერთი კურსის სილაბუსში პოლიტიკური, ფილოსოფიური თემები იყო დაფარული.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო პავლენიშვილმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა დასკვნაში, რომ ზოგიერთი თემა იყო სხვადასხვა კურსებში წარმოდგენილი, მაგრამ მიზანი იყო ის, რომ სტუდენტს შექმნოდა საბაზისო ცოდნა პროლიტიკის ფილოსოოფის ისტორიულ გაანვითარებაზე. ექსპერტის მოსაზრებით სტუდენტისთვის, რომელიც გაეცნობა თუ როგორ ვითარდებოდა პოლიტიკური ფილოსოფიის აზრი ანტიკური ხანიდან დღემდე, იყო ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო. ასევე წარმოდეგნილ სილაბუსში სტუდენტი ეცნობოდა უშუალოდ ფილოსოფოსთა ნაწარმოებებს, შესაბამისად ეს ვერ იქნებოდა კონკრეტული ფილოსოფიური ნაწარმოების ნარატივი, არამედ ანალიზი. ექსპერტმა დადებითად შეაფასა სილაბუსი და დააფიქსირა, მოსაზრება, რომ კარგი დამატება იქნებოდა პროგრამისათვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:00
დასრულების დრო: 16:05

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2[11] პუნქტის საფუძველზე (ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

3. მესამე საკითხი: სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ,,ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მწვრთნელი)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საბაკალავრო პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	29.01.2021 N 41868
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	პირველი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სპორტის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	1014 Sports
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი	
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ვინაიდან, ექსპერტი ლევან მერაბიშვილი არ ესწრებოდა აკრედიტაციის საბწოს სხდომას, საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძემ საბჭოს წევრებს მიმართა საკითხის განხილვა მომხდარიყო ექსპერტის გარეშე, დასკვნაში დაფისირებულ გარემოებებზე დაყრდნობით. დაბჭოს წევრები დაეთანხმნენ თავმჯდომარეს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი ზუბიტაშვილმა განმარტა, რომ ზოგადი სასწავლო კურსების ბლოკში გაიზარდა ინგლისური ენის კურსების რაოდენობა ორი სემესტრიდან ოთხ სემესტრამდე, ასევე გაიზარდა ამ კურსებისთვის გამოყოფილი კრედიტები 10-დან 18-მდე. საჭიროებისათვის ასევე დაემატა 2 არჩევითი კურსი ჯამური 8 კრედიტით. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პროგრამაში არჩევითი სასწავლო კურსის ფარგლებში იყო ესპანური, გერმანული და იტალიური ენების კურსების შეთავაზება. რასთან დაკავშირებითაც ჩატარდა სტუდენტების რაოდენობრივი კვლევა, რომლის მიზანი იყო სტუდენტებისგან მიეღოთ ინფორმაცია მათთვის პრიორიტეტული მეორე უცხო ენის შესახებ. აღნიშნული არჩევითი კურსები, უკვე გახსნილი იყო და სტუდენტები რეგისტრიდებოდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ სთხოვა ინსტიტუციის წარმომადგენელს დაეზუსტებინა, რომ არჩევითი ნიშნავდა, რომ ან ესპანური უნდა აირჩიოს სტუდენტმა, ან გერმანული, ან იტალიური თუ შეუძლია ენასა და სხვა საგნებს შორის შეუძლია გააკეთოს არჩევანი.

დაწესბეულების წარმომადგენელმა, გიორგი ზუბიტაშვილმა განმარტა, რომ სტუდენტმა არჩევანი უნდა გააკეთოს უცხოურ ენებსა და სხვა არჩევით კურსებს შორის, რომელთა რაოდენობაც 15-მდე აღწევს. მან ასევე აღნიშნა, რომ გაითვალისწინეს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია და გააკეთეს სპეციალური ჩანაწერი პროგრამაში, რომლის მიხედვითაც ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მწვრთნელის მიმართლებულების საბაკალავრო პროგრამაზე დარეგისტრირებულ სტუდენტებს შეეძლოთ არჩევით საგნად აერჩიათ არა მხოლოდ ისინი, რომელთაც პროგრამაში სთავაზობდა მათ დაწესებულება, არამედ ნებისმიერი სხვა არჩევით კურსიც, რომელიც შეეთავაზებოდა დაწესებულების სტუდენტს, ნებისმიერ სხვა საბაკალავრო პროგრამაზე. ამგვარი კურსების ოდენობა ჯამში 25-მდე აღწევდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაია ხურცილავამ დაამატა და აღნიშნა, რომ აკრედიტაციის მიზნით წარდგენილ პროგრამაში 10 კრედიტი იყო ინგლისური ენის კომპონენტი, რომელიც ყველა სტუდენტისთვის სავალდებულო იყო. დაწესებულების წარმომადგენლებმა გაზარდეს 18 კრედიტამდე. ვინაიდან, პროგრამის ფარგლებში, ნებისმიერი უცხო ენით იღებდნენ სტუდენტებს, მათ უტარებდნენ დიაგნოსტიკურ ტესტს და ინგლისური ჰქონდათ სავალდებულო კომპონენტში, შესაბამისად, საწყისი დონიდან, „ა1“-დან და „ა2“-დანაც

ჰქონდათ შეთავაზება სტუდენტებისათვის, თუ სწავლის შედეგის სრულყოფილად მისაღწევად ამის საჭიროება დადგებოდა. არჩევით კომპონენტთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უცხო ენის შეთავაზება არ იყო ყველასთვის სავალდებულო და სტუდენტებს შეეძლოთ ნებისმიერი სხვა არჩევით საგანი აერჩიათ. გამომდინარე იქიდან, რომ სტუდენტთა დიდი ნაწილი აქტიურ სპორტში იყო ჩართული და თავიანთ კარიერულ მოღვაწეობას გეგმავდნენ სხვადასხვა ქვეყნებში, დაწესებულების წარმომადგენლებმა მოახდინეს იდენტიფიცირება, თუ რომელი ენები უფრო მიმზიდველი იქნებოდა სტუდენტებისათვის. ანგარიშის გაგზავნამდე, ორ ენაზე გააკეთეს არჩევანი სტუდენტებთან ერთად, ესპანურსა და გერმანულზე. ესპანეთის ალკალას უნივერსიტეტთან დაწესებულებას ჰქონდა მჭიდრო კომუნიკაცია და ერასმუსის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში დაწესებულების სტუდენტი იმყოფებოდა აღნიშნულ უნივერსიტეტში. პროგრამის გაუმჯობესებისათვის, მათ ასევე კომუნიკაცია დაამყარეს იტალიის საელჩოს კულტურისა და განათლების მიმართულებით ატაშესთან და გეგმავდნენ უფრო მჭიდრო თანამშრომლობას, რისი გაძლიერების მიზნითაც, უცხო ენათა საგნების ჩამონათვალს დაამატეს იტალიურიც. მიმდინარე სემესტრში, შეიქმნა პრეცენდენტი და გაიხსნა თით ჯგუფი, სამივე ენის მიმართულებით.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ შეკითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული ჰქონდა სპეციალიზაცია 1, 2, 3, 4, 5, რაც გაურკვეველი იყო, თუ რა სპეციალიზაციას წარმოადგენდა ესენი, რადგან დასახელება არ ჰქონდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ჯემალ ძაგანიამ განაცხადა, რომ უნივერსიტეტი იყო სხვა მიმართულების და მისი ანალოგი არ არსებობდა საქართველოში. მისი თქმით, ეროვნულ გამოცდებამდე, უნივერსიტეტში ტარდებოდა სპეციალური გამოცდა, შიდა ტური, რომლის საფუძველზეც ხდებოდა სტუდენტის მიღება. დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე დაამატა, რომ მოდიოდნენ კალათბურთელები, ხელბურთელები, ფრენბურთელები, მძლეოსნები, შტანგისტები, მოკრივეები და სხვა. ხოლო, როდესაც აპლიკანტი გადავიდოდა მეორე კურსზე, არჩეულ სპორტის სახეობას მიუთუთებდნენ სპეციალურ განცხადებაში თუ რომელი სპორტის სახეობის მიმართულებით განაგრძობდა სწავლას. მეორე კურსზე პირველი სემესტრი იყო სპეციალიზაცია 1, ხოლო მეორე სემესტრში სპეციალიზაცია 2, რაც გრძელდებობა მე-4 კურსის პირველი სემესტრის ჩათვლით. დაწესებულების წარმომადგენელმა, განმარტა, რომ სტუდენტი 5 სემესტრის განმავლობაში სწავლობდა სპეციალიზაციას იმ არჩეულ სპორტის სახეობაში, რომელზეც მან გააკეთა განცხადი, როდესაც შევიდა ფიზიკური აღზრდის და მწვრთნელის სპეციალობაზე.

საბჭოს წევრმა გაიოზ ფარცხალაძემ დააფიქსირა მოსაზრება, ხომ არ იყო უმჯობესი სწავლის შედეგებშიც ასახულიყო, რათა გამოყოფილი ყოფილიყო სხვადასხვა სახეობების მწვრთნელები.

დაწესებულების წარმომაგდენელმა, მაია ხურცილავამ განმარტა, რომ სპეციალიზაციაში იგულისხმებოდა სპორტის კონკრენტული სახეობა. შედეგი იყო საერთო თუმცა არჩევანს აკეთებდა სპორტის სახეობის მიხედვით. სწავლის შედეგი იყო განზოგადებულად ფორმულირებული. დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე აღნიშნა, რომ არ მიაჩნდათ საჭიროდ ცალკე 25 შედეგის გამოტანა სპორტის სახეობის მიხედვით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:20
დასრულების დრო: 16:28

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ,,ფიზიკური აღზრდისა და სპორტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2021 წლის 05 ოქტომბერს 16:30 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ